ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე ასისტენტ-პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2024 წლის 27 მაისის №128 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 3 ივნისის №67/2024 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№3 ოქმი

ქ. თბილისი **10.07.2024**

12.00 საათი, თსუ I კორპუსი, აუდიტორია №306

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა ხუთივე წევრი: 1. პროფ. თეიმურაზ პაპასქირი (კომისიის თავმჯდომარე); 2. ასოც. პროფ. მერაბ კალანდაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ასოც. პროფ. ფატიმა შეყლაშვილი; 4. ასოც. პროფ. (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) დაზმირ ჯოჯუა; 5. ასოც. პროფ. ლეილა ხუბაშვილი (კომისიის მდივანი).

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე ასისტენტ-პროფესორების – „ა“ კატეგორია (1 საშტატო ერთეული) და „გ“ კატეგორია (1 საშტატო ერთეული) – სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

1. მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, პროფ. თეიმურაზ პაპასქირის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის

ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, კომისიის თავმჯდომარემ მიიღო საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების პერიოდში დაინტერესებულ პირთა მიერ შემოტანილი საკონკურსო დოკუმენტაცია დალუქული სახით. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე **მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის („ა" კატეგორია)** 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა – მიხეილ ქართველიშვილმა, ხოლო **მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის („გ" კატეგორია)** 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 2 კანდიდატმა – ალექსანდრე წურწუმიამ და ზაალ გოგენიამ.

მიხეილ ქართველიშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №1).

კონკურსანტმა მიხეილ ქართველიშვილმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატი (ისტორიის სპეციალობა) 2007 წელს კვალიფიკაციით ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (ისტორია) ბაკალავრი, 2009 წელს კი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურა (სპეც. საქართველოს ისტორია) კვალიფიკაციით ისტორიის მაგისტრი. 2020 წელს მან დაიცვა დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად და არის ისტორიის დოქტორი.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტ მიხეილ ქართველიშვილის პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა მისი პედაგოგიური გამოცდილება და მიმართულების საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამებში მონაწილეობა, ვაკანსიის შესაბამისი პროფილით, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სილაბუსი ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ მოქმედ მოთხოვნებს.

კონკურსანტ მიხეილ ქართველიშვილის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა – მისი

ნაშრომები, მათ შორის ერთი მონოგრაფია, საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებში და საგრანტო პროექტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში ხელს შეუწყობს თსუ-ს მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას. მის მიერ წარმოდგენილი მონოგრაფია – „საბჭოთა რელიგიური პოლიტიკა და საქართველოში მისი ასახვის თავისებურებები 1953-1964 წლებში" (თბილისი, 2022) კარგად ასახავს კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით შესაძლებლობებს და შეესაბამება საკონკურსო მოთხოვნებს. კონკურსანტის სამოტივაციო წერილი სრულად წარმოაჩენს კონკურსანტის შესაძლებლობებს და მის მომავალ მიზნებს.

კონკურსანტი მიხეილ ქართველიშვილი ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს და ძირითად კომპიუტერულ პროგრამებს. ის იყო სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელი და რეცენზენტი. ის არის სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალების თანარედაქტორი ან სარედაქციო საბჭოს წევრი, კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, სტუდენტების მეცნიერ-ხელმძღვანელი სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებზე. ის იყო ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ოთხი დისერტაციის დაცვის კომისიის წევრი. არის ორი წიგნის რეცენზენტი.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. კონკურსანტმა წარმოაჩინა, თუ რა მიმართულებით აპირებს ის კვლევების გაგრძელებას და როგორ აპირებს მათ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში. ასევე ისაუბრა გეგმებზე. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე – მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ასისტენტ-პროფესორი – „ა" კატეგორია – სრული წესების დაცვით ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კომისიის წევრებმა დალუქეს ფარული კენჭისყრისათვის განკუთვნილი ყუთი და ხელი მოაწერეს ლუქს. ამის შემდგომ მათ ხელი მოაწერეს ყველა ბიულეტენს. კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი მიხეილ ქართველიშვილის კანდიდატურას. მიხეილ ქართველიშვილის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის („ა" კატეგორია)

თანამდებობაზე არჩევა ხელს შეუწყობს კათედრის კიდევ უფრო მეტ პოპულარიზაციას ახალგაზრდებში. მიხეილ ქართველიშვილი, თავისი აქტიური კვლევითი და პედაგოგიური მოღვაწეობით, იქნება უაღრესად კარგი შენაძენი ახალი და უახლესი ისტორიის კათედრისათვის.

ალექსანდრე წურწუმიამ შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოთხოვნებს". კონკურსანტს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი სპეციალობით ისტორია 1996 წელს კვალიფიკაციით ისტორიკოსი, ისტორიის მასწავლებელი. 2003 წელს მან დაიცვა დისერტაცია პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად და არის პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი (პოლიტიკის მეცნიერებების დოქტორთან გათანაბრებული). სამსახურებრივი გამოცდილება მას აქვს პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულებით, მისი პედაგოგიური სტაჟი (მის მიერ აქამდე წაკითხული კურსები) არის მხოლოდ პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულებით. კომისიამ, ღია კენჭისყრის საფუძველზე, ერთხმად გადაწყვიტა, რომ ვაკანსიის – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ასისტენტ-პროფესორი („გ" კატეგორია) – პროფილს შეესაბამება მხოლოდ კონკურსანტის განათლება, ხოლო მისი აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გა-მოცდილება და მისი პედაგოგიური სტაჟი არ შეესაბამება ვაკანსიისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალექსანდრე წურწუმიამ ვერ დააკმაყოფილა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118 დადგენილების – „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკა-დემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" მე-6 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა და კომისიას ის არ შეუფასებია შემდგომ კატეგორიებში. აქედან გამომდინარე, მას არ მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი და არ იქნა დაშვებული კონკურსის შემდეგ ეტაპზე – გასაუბრებაზე (იხ. ოქმი №1).

ზაალ გოგენიამ შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში

(პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №1).

კონკურსანტმა ზაალ გოგენიამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ბაკალავრიატი „დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის" სპეციალობით 1999 წელს კვალიფიკაციით დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის ბაკალავრი, 2001 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მაგისტრატურა (სპეც. დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია) კვალიფიკაციით დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის მაგისტრი. 2020 წელს მან დაიცვა დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად და არის ისტორიის დოქტორი. მისი სამსახურებრივი გამოცდილება შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და მისი პედაგოგიური სტაჟი შეესაბამება ვაკანსიისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. ზაალ გოგენიას შეთავსებით მუშაობა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტსა და ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში ასევე შეესაბამება გამოცხადებული ვაკანსიის პროფილს. გარდა ამისა, ზაალ გოგენიას გააჩნია დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი სამართალმცოდნეობაში (თსუ ზუგდიდის ფილიალი, 2006 წელი).

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტ ზაალ გოგენიას პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა მისი პედაგოგიური გამოცდილება (19 წელი) და მიმართულების საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამებში მონაწილეობა, ელექტრონული კურსების ავტორობა, ვაკანსიის შესაბამისი პროფილით, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგები. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ცხრა სილაბუსი ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ მოქმედ მოთხოვნებს.

კონკურსანტ ზაალ გოგენიას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა – მისი ნაშრომები, მათ შორის ერთი მონოგრაფია, საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებსა და გრანტებში მონაწილეობა ბოლო 6 წლის განმავლობაში, ხელს შეუწყობს თსუ-ს მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის კვლევითი პროფილის განვითარებას. კონკურსანტის მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი მონოგრაფია – „ესპანეთის სამოქალაქო ომის საერთაშორისო ასპექტები: ომის ინტერნაციონალიზაცია (1936 წლის ივლისი-ნოემბერი)" – კარგად ასახავს მის სამეცნიერო-კვლევით შესაძლებლობებს და შეესაბამება საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსანტის სამოტივაციო წერილი სრულად წარმოაჩენს კონკურსანტის შესაძლებლობებს და მის მოტივაციას. მასში კარგად არის შერწყმული სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური ნაწილები.

კონკურსანტი ზაალ გოგენია ფლობს ინგლისურ, რუსულ და ესპანურ ენებს და ძირითად კომპიუტერულ პროგრამებს. ის იყო 1 სადოქტორო, 7 სამაგისტრო და 16 საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი ბოლო 6 წლის განმავლობაში. ამჟამად არის 5 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი. ის იყო 13 სამაგისტრო და 6 საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტი ბოლო ექვს წელიწადში. ის რეგულარულად ახორციელებს დოქტორანტთა სასემინარო თუ საკოლოქვიუმო ნაშრომების რეცენზირებას (23 რეცენზია ბოლო ექვს წელიწადში). ის იყო ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი 9 დისერტაციის დაცვის კომისიის წევრი. არის სამი წიგნის რეცენზენტი. რეგულარულად ატარებს საჯარო ლექციებს.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. კონკურსანტმა წარმოაჩინა, თუ რა მიმართულებით აპირებს ის კვლევების გაგრძელებას და როგორ აპირებს მათ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში. ასევე ისაუბრა გეგმებზე. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე – მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ასისტენტ-პროფესორი – „გ“ კატეგორია – სრული წესების დაცვით ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კომისიის წევრებმა დალუქეს ფარული კენჭისყრისათვის განკუთვნილი ყუთი და ხელი მოაწერეს ლუქს. ამის შემდგომ მათ ხელი მოაწერეს ყველა ბიულეტენს. კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი ზაალ გოგენიას კანდიდატურას. ზაალ გოგენია არის უაღრესად ნიჭიერი მკვლევარი და ძალიან კარგი ლექტორი. მისი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ასისტენტ-პროფესორის („გ“ კატეგორია) თანამდებობაზე არჩევა ხელს შეუწყობს ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის კვლევითი პროფილის განვითარებას.

ერთხმად დაადგინეს: 1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე ასისტენტ-პროფესორის („ა“ კატეგორია) ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა **მიხეილ ქართველიშვილი** და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრაზე ასისტენტ-პროფესორის („გ“ კატეგორია) ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა **ზაალ გოგენია**;
2. გამოქვეყნდეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი და გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის მდივანი:

წევრები

თარიღი

10.07.2024